

# თეატრი და ცხოვრება

1910 სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი № 24

30 ივნისი

ფასი 10 კაპ.



1, ვ. ა. აბაშიძე; 2, ა. დ. ყიფიანი; 3, ა. ს. მესხი; 4, მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა;
5, ნ. მ. გაბუნია-ცაგარელისა; 6, ალექ ჩხეიძე;

7, ვრ. ყიფიანი; 8, ნ. თამაშელი-მიმინოშვილი; 9, მ. ყიფიანი-ქართველიშვილისა;
10, ბ. ქორინთელი-ყიფიანისა; 11, აკ. ცაგარელი; 12, დ. მაჩაბელი.

# თეატრი და ცხოვრება

№ 24

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ღრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. Тифлисъ. Редакція «Театри да Цховреба» Іос. Зах. Имедашвили

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. —რედაქტორთან პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. ჲ საღ. 6—7 ს.

ტელეფონი № 862

№ 24 კვირა, 20 ივნისი 1910


## 20 ივნისი 1910 წ.

**მამათა ანდერძი** ვისაც წარსული არა აქვს, აწმყოში თვალ-გახელილი არ არის, გონება ფხიზელი, იმას მომავალიც არ ექნება...

არა-რაისგან არ იქნების არა-რაიცაო, ტყუილად არა სთქვა დიდებულმა შექსპირმა...

ჟამთა ცვლამ ქართველსაც ჩასძახა ხელი აელო თოფსა და ხმალზე და შესდგომოდა კულტურულ მუშაობას მოქალაქეობრიობის მოსაპოებლად.

ამ მხრივ შესამჩნევია ქართველთა ცხოვრება გასულ საუკუნის მეორე ნახევარში...

ჟურნალ-გაზეთების დაარსება, განმანათლებელ დაწესებულებათა აღორძინება, სასკოლო საქმის ცოტად თუ ბევრად მოწესრიგება და, დასასრულ, ქართული თეატრის დაარსება ყველა ეს სულ გასული საუკუნის ნაანდერძევია...

სამოცდაათიან წლებში იქამდე მომწიფდა ქართველ მოწინავე პირთა თვითშეგნება, რომ ორმოცდაათიან წლებში აღორძინებული და უცებ ჩამქრალი სათეატრო საქმე ისევ განაახლეს, ერის სულიერ-გონებრივად დაწინაურების ერთ უმთავრეს ბერკეტად მიიჩნიეს, შექმნეს სათეატრო წრე, შეადგინეს წესდება და 1880 წ. 22 ივნისს დაამტკიცებინეს კიდეც მაშინდელს ხელმწიფის მოადგილეს დიდს მთავარს მიხეილს.

ასე რომ ზეგ, სამშაბათს, 22 ივნისს, სრულდება სწორედ ოც-და-ათი წელიწადი, რაც არსებობს **ქართული დრამატიული საზოგადოება.**

ამ დღეს ჩვენთა მამაპაპათ საქვეყნოდ, ოფიციალურად აღნიშნეს თავიანთი სულთსწრაფვა ერის საკეთილდღეოდ, დასთესეს თესლი კეთილ-ნაყოფიერი და შვილთა თვისთა გვიანდერძეს მისი მოვლა და დაპურება...

აი, რას გვეუბნება, სხვათა შორის, ქართული დრამატიული სიზოგადოების წესდება 1880 წ. 22 ივნისს ხელმწიფე-დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკისაგან დამტკიცებული:

§ 1. ქართული დრამატიული საზოგადოება ფუძნდება ქ. თბილიში, რათა დაეხმაროს **დრამატიული ხელოვნების წარმატებას** კავკასიის სანამესტნიკოში მცხოვრებ ქართველთა შორის; ამასთანავე დაეხმაროს სამუდამო და შემთხვევით ქართულის წარმოდგენების გამართვას კავკასიაში.

§ 2. ამ მიზანს რომ ეწიოს, საზოგადოებას ნება აქვს:

ა) მოიპოვოს საკუთრებად და დაიქირაოს როგორც ზალა წარმოდგენების გასამართავად და სახლი საზოგადოების ქონების შესანახავად, აგრეთვე ყველაფერი, რაც სცენისთვის საჭიროა;

ბ) მისცეს თავისი ქონება სახმარებლად სამუდამო დასს და მოყვარულთა წრეებს;

გ) **დაეხმაროს ნივთიერად დრამატიულ მწერლებს და არტისტებს,** რომ უფრო გავარჯიშდეს მათი ნიჭი და მოქმედება;

დ) **გამოსცეს ქართულს ენაზედ ორიგინალი და ნათარგმნი დრამატიული თხზულებანი** და, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოსცეს **გაზეთი ან ჟურნალი** განსაკუთრებით დრამატიულის ლიტერატურისა და კრიტიკისათვის.

ე) დანიშნოს **ჯილდო საუკეთესო დრამატიულ თხზულებათათვის** ქართულს ენაზე და

ვ) გამართოს ქ. თბილისში **სათეატრო კლასები** და დროებითი **კურსები მოსამზადებლად და გასავარჯიშებლად არტისტებისა.**

როგორც მკითხველი ჰხედავს, მამათა ანდერძი ბევრის მხრითაა საგულისხმო, ბევრი სიკეთის აღმთქმელი, ხოლო არც ერთი მათგანი არ არის საფუძვლიანად დაწყებული, არამც თუ შესრულებული.

ამ ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოს დაბა-სოფლებში დაიბადა· წარმოდგენათა გამართვის სურვილი და ეს სურვილი დღითი-დღე ძლიერდება, მაგრამ პიესათა უქონლობის გამო ან უკვე ათჯერ ნათამაშებს—გადაღეჭილს იმეორებენ, ან რაღაც არა სასურველს პიესებს სდგავენ...

ღარიბია ჩვენი დრამატიული ლიტერატურა, ვინაიდან რაცა გვაქვს, იმის დაბეჭდვასა და გავრცელებას არც-კი ვუწყობთ ხელს და თუ ვინმე დრამატურგ-მთარგმნელი გამოგვიჩნდა, ნივთიერად იმდენად ვერ ვუწყობთ ხელს-თავისი საყვარელი საქმე განაგრძოს...

დრამატიულ საზოგადოების მოვალეობაა ხელი შეუწყოს **დრამატიული ხელოვნების წარმატებას,** მაგრამ რავდენი ვიგინდარა ჰბღალავს ქართული თეატრის ღირსებას, ენას, პიესას, სცენას,—ამას არავინ უწევს ანგარიშს...

ოცდა ათი წელიწადი გავიდა და აქამომდეც-კი ვერ შეგვიქმნია ისეთი ორგანო დრამატიული საზოგადოებისა, რომ ქართულ წარმოდგენების გამმართველთ ერთი მთავარი იდეა, ერთი. წესრიგი მისცეს, ერთი მიზნისკენ მიმართოს ყოველ სასცენო მოღვაწის მისწრაფება...

ოცდა ათის წლის წინად მხოლოდ ოცდა ათიოდე კაცმა შეჰქმნა, დაამტკიცა და, ასე თუ ისე, საზოგადოებაში გაავრცელა თეატრის საჭიროების აზრი...

დღეს, ოცდა-ათის წლის შემდეგ, საზოგადოებას ათჯერ მეტი წევრი მაინცა ჰყავს, რომელთა უმრავლესობა არამც თუ წესდების საფუძველთა გავრცელებას ეხმარება, **საწევრო** ფულიც კი არა აქვს საზოგადოების კასაში შეტანილი...

მომეტებული მათგანი არამც თუ **ეხმარება** სათეატრო საქმის **წარმატებას,** არც კი იცის, საით არის ქართული თეატრის კარები...

ახლად შემდგარ ქართულ დრამატ. საზოგადოების გამგეობას ფრიად ბევრი და ძნელი საქმე აქვს გასაკეთებელი: დრამატიულ თხზულებათა გამოცემა, დასის მფარველობა, ჟურნალის წარმოება, დრამატიულ ნაწარმოებზე ჯილდოთა დანიშვნა და, დასასრულ, ქართული თეატრისა და დრამატიულ ლიტერატურის აღორძინება-განვითარების საფუძვლიანი ისტორიის შედგენა...

როგორ და რა დროიდან წარმოიშობა ქართული თეატრი?..

როგორი იყო მისი თანდათანობითი განვითარება?..

რა და რა საფეხურები გაიარა?..

რა მდგომარეობაშია ჩვენი ორიგინალური და ნათარგმნი დრამატიული ლიტერატურა?..

ქართველი მსახიობის წარსული და აწმყო.

სახალხო თეატრის აღორძინება, პროვინციალური თეატრი და სხ. და სხ. აი, რავდენი კითხვებია გასარკვევ-შესამუშავებელი...

ერთი სიტყვით, დრამატიული საზოგადოებისა და მისი ფარგალის სრული და პირუთვნელი აღწერა...

დიდი, ფრიად დიდი ძალღონეა საჭირო ამ საქმეთა შესასრულებლად და ისიც ყველამ ვიცით, რომ ОДИНЪ ВЪ ПОЛѢ НЕ ВОЙНЪ...

ამიტომაც საჭიროა ჩვენის ქვეყნის მოწინავე და შეგნებულმა ნაწილმა უფრო ფხიზელის თვალით შეხედოს თავისი ეროვნული თეატრის საქმეს და თვისგან რჩეულთ მხარი მისცეს, რომ მათ პირნათლად შეასრულონ საზოგადოების წინაშე ნაკისრი მოვალეობა, თორემ ქართული ანდაზისა არ იყოს, მარტოხელა პურის ჭამაშიაც ბრალიაო...

ჩვენის ჟურნალის მე-11-ე ნომერში გაკვრით შევეხეთ ამავე საგანს და ახლაც ვიმყორებთ, რომ ისტორია პასუხს მოგვთხოვს უმოქმედობაში...

სულმნათმა ილია ჭავჭავაძემ ამ ათის წლის წინად დრამატ. საზოგ. ოცის წლის თავზე წარმოსთქვა, თუმცა „არა-რაისგან არ იქნების არა-რაიცაო“, ჩვენმა თეატრმა მაინც არა-რაისგან შექმნა რაღაცაო...

ახლა ეს აღარ ითქმის: ქართული სახიობა ჯერ კიდევ ერთის საუკუნის წინად იყო ჩასახული, როგორც ამას მემატიანენი მოგვითხრობენ, ნახევარ საუკუნის წინ ორიგინალური დრამატურგნი დაგვებადენ და თეატრიც განახლდა, ხოლო ოცდაათის წლის წი-

ნად უკვე **დრამატიული საზოგადოება** დაარსდა...

მაშ დღეს ვერ ვიტყვით „არარაისგან" გავაკეთოთ რამეო...

საძირკველი ჩაყრილია, კედლების აშენება-ღაა საჭირო...

ყველამ უნდა ვირწმუნოთ, რომ აწმყომ შობილმან წარსულისაგან უნდა წარმოშვას ჩვენის თეატრის ბრწყინვალე მომავალი...

ზ ო გ ი ე რ თ ი ც ნ ო ბ ა ხ ი

**ქართ. დრამატიულ საზოგადოების შესახებ**

ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობას განზრახვა აქვს შემოდგომაზე ღირსეულად იდღესასწაულოს **დრამატიულ საზოგადოების ოცდა ათის წლის თავი** და იმ ხანად ჩვენი რედაქცია ეცდება უფრო ვრცელი და დაწვრილებითი ცნობანი წარუდგინოს მკითხველთ ქართული თეატრის მოღვაწეთა შესახებ. ამ ჟამადკი მოკლედ მოვიხსენიებთ ზოგიერთ ცნობათ;

1879 წ. წარმოდგენებს მართავდა „ქართულ წარმოდგენათა მმართველი გამგეობა" რომლის წევრებთაც იყვენ: ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე-თავმჯდომარე, დავით გიორგის ძე ერისთავი— თავმჯდომარის ამხანაგი, ივანე გიორგისძე მაჩაბელი- მდივანი, გიორგი მიხეილისძე თუმანიშვილი—რეჟისორი, იოსებ ბაქრაძე—ხაზინადარი, დავ. ზაქარიას ძე სარაჯიშვილი და ნიკ. იაკობისძე ავალიშვილი წევრნი. ამ პირთ შიანდეს ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძეს წესდების პროექტის შედგენა; შედგენილი პროექტი გამგეობამ შეიმუშავა, ადგილობრივ მმართებლობას წარუდგინა დასამტკიცებლად, რომლის დამტკიცებაც ინება 1880 წ. 22 ივნისს ხელმწიფემ დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა.

წესდების დამტკიცების შემდეგ საზოგადოების საზოგადო კრებაზედ, ამორჩეულ იქმნა საზოგადოების გამგეობა: თავმჯდომარედ თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, თავმჯდომარის ამხანაგად თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, მდივნად კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი, ხაზინადრად თავადი გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი და წევრებად: თავადი რაფაელ დავითის ძე ერისთავი. ნიკოლოზ დავითის ძე ქანანიშვილი და მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი.

ამ 30 წ. განმავლობაში ამორჩეული ყოფილა ათი გამგეობა (აწინდელი მეთერთმეტეა), რომელთაც უწარმოებიათ 19 სეზონი... პირველი სეზონი დაიწყო 1880 წ. 15 ენკენისთვეს.

---

## ვიდექ ზღვის პირას...

(ვუძღვნი იაკობ ნიკოლაძეს)

I

დამშვიდებული,
დაწყნარებული,
ზღვა კამკამებდა
და ფირუზისა
კამარას ცისა
შესთამაშებდა;
მაღლით სხივები—
ოქროს მძივები
დასციმციმებდენ
და სანატრელსა
მზეს, საყვარელსა,
უკავშირებდენ.
ქარი არ ქროდა...
არსით ისმოდა
ხმა ქვეყნიური,
იყო დუმილი,
უცნაურ-ტკბილი,
თითქო ღვთიური!..
ვიდექ ზღვის პირას,—
ამ ჰარმონიას
მე შევყურებდი;
ვგრძნობდი სულისა
მასთან კავშირსა
და ვნეტარებდი!..

II

აღშფოთებული,
აღელვებული,
ზღვა ბობოქრობდა,
თითქო წარბ შეკრულს,
გაპირქუშებულს,
ცას ემუქროდა.
ტალღა-ზღვირთები,
ვით დიდი მთები,
წამს იზრდებოდენ
და წამს უფსკრულში,
შავ-ბნელ ჯურღმულში
იკარგებოდენ.
ზღვა, ვით დაჭრილი,
ფაფარ-აშლილი
ლომი, გმინავდა,

ცაც მრისხანებდა
და მძვინვარებდა,—
    ჰქუხდა, გრგვინავდა!
ზუოდა ქარი...
იყო საზარი
    გარს ხმაურობა,
თითქო შემოქმედს
მოსურვებოდეს
    ქვეყნის დამხობა!..
ვიდექ ზღვის პირას,—
ამ ბრძოლის, დიადს,
    მე ვუცქეროდი;
ვგრძნობდი სულისა
მასთან კავშირსა
    და კვლავ ვსტკბებოდი!..

## თეატრი და ცხოვრება

**ერთის თვალის გადავლებით**

ზეგ, სამშაბათს სრულდება 30 წელიწადი რაც კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წესდება დაამტკიცა. ოცდა ათის წლის წინად ჩაეყარა ნამდვილი საძირკველი იმ საქმეს, რომელსაც ჩვენი საზოგადოება, გარდა რემდენისამე შეგნებულ ადამიანისა, ალმაცერად უყურებდა და არა თუ ნამდვილ თანაგრძნობას უჩენდა, არამედ გამრყვნელათა და გამათახსირებლად სთვლიდა. სიტყვა «არტისტი", „არტისტკა» — ეს ქარაფშუტობის სინონიმი იყო, სცენა — დროს გასატარებელი ადგილი, სალაღობო ასპარეზი ჯამბაზთა კრებულისა.

აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდა რამდენიმე მადლ-მოსილი ადამიანი და თავს იდვა დრამატიულ საზოგადოების დამკვიდრება.

იმ დროს მოღვაწეთა შორის ოქროს ასოებით აღბეჭდილია სახელები ჩვენის დიდებულ არტისტების ვ. აბაშიძისა, მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, კ. და ეფ. მესხებისა და სხვათა. ჩვენმა სცენამ კი არ შექმნა ეს დიდებული ადამიანები, ამათ შექმნეს ქართული სცენა, ამათმა ნიჭმა გაუდგა ფესვები ხალხის გულში ქართულ თეატრის მიმართ სიყვარულსა და ფასს.

მაშინდელი დამფუძნებელნი ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა ზოგი დღესაც ჯანსაღად არის, როგორც, მაგალითად, ნ. ავალიშვილი, ვ. აბაშიძე, თ. ლევან გიორგის ძე ჯანდიერი, კ. ყიფიანი, ანტონ ფურცელაძე, აკაკი და სხვანი, და ამათ კარგად იციან რა თავის მტვრევა და ვაი-ვაგლახი უნდოდა იმათ ამ გვარ საქმეს მოწყობას. ამათ კარგად ესმოდათ, რომ სცენა არ წარმოადგენს მხოლოდ თავგასართობ რამეს. და აი, ამიტომაც შეძლების დაგვარად ხელი შეუწყეს ამ დიდებულს საქმეს.

ენა სულია ერისაო, ამბობს ერთი გამოჩენილი მეცნიერი, ენის მეოხებით შეგვიძლიან სიგძე-სიგანით გაზომოთ ერის გონებრივი სალარო და დააფასოთ კულტურის რომელს საფეხურზე დგას იგიო.

ენა მდიდარი რუსთაველისა, აკაკის და ილიასი ისეთ სავალალო ყოფაში იყო, რომ ქართველს ქართულისა აღარა ესმოდარა. ნივთიერად გალაღებული ბატონი ამაყად უვლიდა გვერდს და ჩაგრულ მონას და მის თვალსა და გულსა არ სწადდა, არ იზიდავდა იმ ბეჩავ მდგომარეობის დანახვა, რაც თვალწინ გადაუშალა მას სცენამ. დიაღ ქართულმა სცენამ, ქართულმა თეატრმა შეიძლო ის, რასაც სხვაგან ვერ შესძლებდა: ერთმანეთს დაუახლოვა დიდი და პატარა, მდიდარი და ღატაკი, გულ დაკოდილი და გულზვიადი, დაჩაგრული და მჩაგვრელი-მთელი უკულმართობა ცხოვრებისა. ყველა ეს შესძლო ქართულმა სცენამ და ქართველმა არტისტებმა.

მაგრამ რა მდგომარეობას განიცდიდენ და განიცდიან თვითონ არტისტები? ამდენის ხნის განმავლობაში ჩვენში ვერ შესდგა ისეთი წრე, ისეთი ჯგუფი ანუ დაწესებულება, რომელსაც უზრუნველ ეყო ქართული თეატრი და მისი სულის ჩამდგმელი არტისტები. ქართველი არტისტი, საერთოდ რომ ვივარაუდოთ, ორ თვეს ცხოვრობს სცენის წყალობით, დანარჩენი ათი თვე-კი საცოდავ მდგომარეობას განიცდის: არა აქვს თავშესაფარი, არა აქვს წყარო ცხოვრებისა და ცხოვრება-კი თავისას თხოულობს. არასოდეს არ დამავიწყდება ერ-

თის ჩვენი არტისტის სიტყვა—ნეტავი ათ თვეს ლეტარგიული ძილით მაინც დავიძინებდეო. ვინ იცის, ამგვარ სიტყვაზე ჩვენ შეიძლება გულიანადაც გადავიხარხაროთ, მაგრამ... სასაცილოა? ჩვენ, ქართველებმა, ლამაზის სიტყვებითა და ხოტბებით ვიცით ჩვენი დამსახურებულ ადამიანების პატივისცემა, ხოლო არსებითად კი არ გვინდა ჩავუკვირდეთ სხვის ყოფა-ცხოვრებას. ნუთუ ჩვენ იქამდე ვერ მოვმწიფდით, რომ ამდენის ხნის განმავლობაში ვერ შევქმენით რა ისეთი, რომ თავშესაფარი მაინც გაგვეჩინა ჩვენის არტისტებისათვის! ეს შეგვეძლო და შეგვიძლია კიდეც თუ მოვინდომებთ.

ჩემის აზრით, კარგი დრო არის ახლა მაინც ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ ამას. ჩვენა გვგონია ქართული დაწესებულებანი გულმხურვალედ მოეკიდებიან და ხელს შეუწყობენ ამ საქმეს, თუ სათავეში ვინმე გონიერი ადამიანი ჩაუდგება.

**განდეგილი**

*
* *

არ მშორდება სევდა მწარე,
შავ ფიქრს ველარ გავეყარე..
ოჰ, რად, რისთვის შემიყვარე?
შენს ნაზ თვალებს შევადარე
ცის ლაჟვარდი მოელვარე...
რისთვის, რისთვის შემიყვარე?
ჩემი მზეა, ჩემი მთვარე
შენი სული მონარნარე..
ოჰ, რად... რისთვის შემიყვარე?
უბსკრულის პირს გავიარე,
ცრემლის წვეთად დავილვარე..
რისთვის.. რისთვის შემიყვარე?
მტრულად გვიცქერს მშობელთ მხარე
შვება გამინიავქარე...
ოჰ რად, რისთვის შემიყვარე?
გულის ტანჯვა ვერ დავფარე,
ნიავს კოცნა დავაბარე..
ქალო, რისთვის შემიყვარე?

**გ. ტაბიძე**

# მშვენიერება

## სერგეი მაკოვსკის წერილიდან *)

„ყოველივე გაივლის, ყოველივე გაქრება, უმაღლესი ხარისხი, უფლება, ყოვლის შემძლებელი ჰენიალობა, ყოველივე მტვრად იქცევა... ყოველი დიდებული მოვლინება ამა ქვეყნისა გაქრება, როგორც კვამლი...

— არ გაქრება კვამლივით მხოლოდ კეთილი საქმე ადამიანთა; იგი თვით უბრწყინვალეს სიმშვენიერეზედაც მეტსა სძლებს ხოლმე: „ყოველივე გარდავა, სთქვა მოციქულმა, მხოლოდ ერთი სიყვარული-ღა დარჩებაო“.

ხომ გახსოვთ? ასე ათავებს თავის სიტყვას ტურგენიევი ჰამლეტსა და დონ-კიხოტზე, ამ სიტყვებს-კი მარტო პირადი, ალსარებითი მნიშვნელობა არა აქვს. იგი დამახასიათებელია საზოგადოთ რუს-ესტეტისა.

„კეთილი საქმე თვით უბრწყინვალეს სიმშვენიერეზე მეტსა სძლებს“. აი რა ფრაზით გამოიხატა რუსეთის დიდებულ მხატვარის აზრი ორ სამთელქვეყნო, მსოფლიო დიად მხატვართა შესახებ. მერმე განა სხვები უფრო გარკვევითა და გადაჭრით არ შეეხნენ ამავე საკითხს?

რუს ესტეტს შეიძლება მხურვალე და მტკიცე რწმენით უყვარდეს ხელოვნება, მაგრამ მიჩნეულ საზღვრამდე კი— მანამ, სანამ მის აზროვნებაში არ შთაისახება სურვილი დასკვნათა გამოყვანისა. მაშინ ის მორალისტი ხდება. რუს ესტეტს ეშინია, რომ მშვენიერებას ენდოს ბოლომდე; მისი მხატვრული ამპარტავნება მოკრძალებით თავს იხრის ზნეობრივ პრობლემათა სიდიადის წინაშე...

აბა ერთი მძლავრი და უფლება-მოსილი მოაზროვნე გვყოლიყო ისეთი, რომელსაც მშვენიერებაში ეგულისხმოს უმაღლესი, ყოვლის შემაერთებელი და ყოვლის შემრიგებელი დასაბამი? ისეთი დასაბამი, რომელიც არ ემორჩილებოდეს არც ზნეობრივობას, არც სარწმუნოებას, რომელსაც არ ესაჭიროებოდეს არც

---

*) მე მინდა ჩვენს მკითხველებს ხელოვნების შესახებ გავაცნო ზოგიერთ თანამედროვე მწერალთა აზრი სულ სხვადასხვა მიმართულების. ამ ხელად კი ვიწყებ სვრგეი მაკოვსკით. **შ. დ.**

ახსნა-გარკვევა, არც გამართლება და დაცვამფარველობა? იყო განა ისეთი ვინმე, რომელმაცა სთქვა: მშვენიერების შემოქმედნო, თქვენა ქმნით სამარადისოსაო?

ალბად ჯერ კიდევ დიდი ბარბაროსები ვართ. თვით დიდად კულტურული ადამიანები'ც კი ჩვენ შორის ვერ ამჩნევენ საზღვარს, რომელიცა ჰყოფს „კაცობრიულ მეტად კაცობრიულს“ ღირებულებას ცხოვრებისას შემოქმედების ღირებულებისაგან.

როდესაც კარგა ახლო დაუკვირდები რუსმხატვართა მოღვაწეობას, დაინახავ, რომ თითქმის ყველა მათგანი შინაგან მერყეობისა და ორჭოფობის მსხვერპლია, მისი წამებული; არა სწამთ მტკიცედ თავიანთი მოწოდება, ეჭვით შესცქერიან. რამდენს მათგანს შერცხვენია „პარნასზე« განმარტოებისა და ადამიანთა და თავის თავის წინაშე თითქო ბოდიშის მოსახდელათ „ენა და მეტყველება ღმერთებისა“ ქვე-ჩამოუყვანიათ საზოგადოებრივ და რელიგიურ თემების საქადაგებლად. რამდენს თავის შემოქმედების დასასრულს, უარუყვია თავისი ნაწარმოები. გოგოლი, რომელიც სიკვდილის წინად თავის ნაწერებსა სწვავს, ტოლსტოი, რომელიც აგდებით უბრალო არაკებად იხსენიებს თავის რომანებს, ივანოვი *) თავის ჰენიალობის მწვერვალზე მოკლული იმ აზრით, რომ ქრისტიანობის იდეა შეუძლებელია განხორციელდეს მხატვრობაშიო —ყოველივე ეს მეტად ნაციონალური მოვლენაა. თვით პუშკინმაც-კი, რომელსაც ჩვენი „მოწინავე“ საზოგადოება ამდენი ხანია გარდამეტებულ ესტეტიზმს აყვედრის, იმ პუშკინმა, რომელიც აგრე ამაყად დამზერდა საზოგადოდ „ბრბოს“, იმანაც კი საჭიროდ დაინახა ეთქვა: „მე ხალხს მისთვის ვეყვარები, რომ ჩემის ქნარით კეთილ გრძნობებს ვულვიძებდიო“. ამ სიტყვებშიაც განა თავის მართლება არ გამოსჩანს?

რუსი-მწერალი, მგოსანი ან მხატვარი, როგორც კი თავს ამაღლებულად იგრძნობს, შეატყობს რომ სხვებში ერჩევა, რაღაც ბედისწერით მიდის იმ დასკვნამდე, რომ მხატვარი ცხოვრების მასწავლებელი უნდა იყვეს, რომ მშვენიერების სამსახური ზედ-მეტი ბარგია, უკეთუ ეს სამსახური სხვა რამ „მაღალ იდეისთვისაც“ არ არის გამოსადეგი.

ასეთ მორალების ქურქი, რა თქმა უნდა, იცვლება ერთი თაობიდან მეორეში, მაგრამ შინაარსი-კი ერთი და იგივე რჩება. ხელოვნება მიზანი კი არ არის, არამედ საშუალება; მშვენიერება მხოლოდ სამოსელია, გარეგანი სახე, რომლის შინაარსიც სხვა და სხვა ზნეობრივ ვითარების შესახებ გვესაუბრება. „კეთილი საქმე თვით უბრწყინვალეს მშვენიერებაზე მეტსა ძლებს“.

და სწორედ აქ არის დასაბამი ჩვენი კრიტიკის შეცდომისა. მხატვარისაგან იგი თხოულობს იდეას, შეხედულებას, ზნეობრივ იდეალებს, ჭეშმარიტებასა და სარგებლობას—და არა ხელოვნებას. მხატვრულ ნაწარმოებს ესტეტიურ საზომით კი არ სინჯავს, არამედ ავტორის განზრახვათა და მის დამოკიდებულებას სადღეისო კითხვებისადმი „კეთილისა და ბოროტის“, „სიმართლისა და სიცრუის“ ტლანქ სასწორზედა სდებს.

მე სიამოვნებით ვეგებები თანამედროვე ახალგაზდა მხატვართა და კრიტიკოსთ შორის ყველა იმათ, ვინაც ბრძოლა გამოუცხადა ამ ძველ შემცდარ შეხედულებას. ისინი მტკიცედ შეხვდენ ჩვენს ნაციონალურ სენტიმენტალიზმის მრისხანებას...

მაგრამ ხომ შეიძლება ცდებოდენ? ჰამლეტი და დონ-კიხოტი—ჰენიალური ნაწარმოებნი ლიტერატურისა... „ყოველივე ეს გადავა მხოლოდ ერთი-და სიყვარული დარჩება“. „ამ სიტყვებს ჩვენ ვეღარას დავუმატებთ“, ამბობს ტურგენიევი.

დავუჯეროთ ტურგენიევს? აღვიაროთ, რომ ზნეობრივი არსებობა კაცობრიობისა უფრო მტკიცეა, უეჭველი, ვიდრე მისი ესტეტიური არსებობა?

საუკუნეთა ისტორია, ხალხის გამოცდილება გვეუბნება: არაო.

მშვენიერება ყველა საკაცობრიო საქმეზე მეტადა სძლებს; სულ ერთია ეს საქმე კეთილია თუ ბოროტი. ღვაწლიცა დ დანაშაულიც საუკუნოებში ეძლევა დავიწყებას, ქრება; თაობა თაობასა სცვლის და მათთან ერთად უკვალოდა ქრება მათი სიყვარულიც და სიძულვილიც. „იგი წავა და სხვა მოვა“... ახალი ადამიანე-

*) განთქმული მხატვარი რუსეთისა. **შ. დ.**

ბიც ისისხლ-ხორცებენ წინაპართა ნაშთს, თუმცა თითქმის მუდამ შეუგნებლად და არა სავსებით; მიდიან წინ სულ სხვა მიზნებისაკენ, ან და შეიძლება მხოლოდ სხვა გზით, ანგრევენ ძველს და აახლებენ თავისებურად, ქმნიან ახალ სახეებს სასურველსა და საზიზღარსა და ყოველივე ეს ეგრევე მომაკვდავია, წარმავალი, როგორც წინანდელი.

ამ გვარად ცოცხალი სინამდვილე სიზმრად იქცევა.

და ხელში გვრჩება მხოლოდ მხატვრული განსახიერება მისი, რაც ოდესმე ცოცხალი იყო, ცხოვრებდა, ხატება ყოფილის ცხოვრებისა.

**შალვა დადიანი**

(შემდეგი იქნება)

## ს ი მ ა რ თ ლ ე

მიდის, მიხმაურობს ხალხი ბრუნდე გზაზე.

თავის მძიმე, გაუთლელ—გაურანდავი ტან-ფეხით სთელავს მრავალ ია-ვარდსა და იასამანს, რომელთა სულები არ იკარგებიან და, მნათობ ქვებად ქცეულნი, თვალებ დათხრილ სიმართლის გვირგვინს ერთვიან.

სიმართლე დიაღ თვალებ-დახრილია; წინად სიმართლე სთხრიდა, თურმე, უმართლო ხალხს თვალებს, მაგრამ გაიძვერა ადამიანებმა იგი შეიპყრეს, თვალები თვით დასთხარეს და ბნელს მოაფარეს.

განგებამ თვალებ-დათხრილი, დაუმსახურებლად დამცირებული სიმართლე ბრწყინვალე გვირგვინით შეამკო, ანუგეშა და უწინასწარმეტყველა: „ქვეყნად ბილწ ხალხში არ გამოილევიან ია-ვარდნი და იასამანნი. ესნი არიან მართალ ადამიანთა ტურფა სულები, შენებრ დამცირებულნი. ესენი გაბრწყინდებიან და შეგიმკობენ ტურფა გვირგვინს. შენი გვირგვინი, ერთ დროს გავსილი, მოელვარე ქვებით გაჩაღებული, ბნელს ახდის და ქვეყნის წინ წარსდგები მთელი შენი სიძლიერითა და მშვენიერებით".

**გ. მესხი**

# რეაქცია

ოთხ მოქმედებიანი

სცენები **აკაკისა**

### მოქმედება მესამე

(ვახუშტი მხართეძოზეა წამოწოლილი სკამ-ლოგინზე, კრიალოსანს ათამაშებს და ხვნეშის. ბეჟან ბარაბანს უკრავს მაგიდაზე და სტვენს. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ)

I

**ბეჟანი და ვახუშტი**

**ბეჟან** „დაგილრეჯია მეფეო, აღარ გიცინის პირიო". ა!.. ვახუშტი!.. მე ვითომ სოგრატვეზირი ვარ და შენ როსტევან მეფე.

**ვახუშტი** (იცინის) ცოტა გვიკლია ორივეს!.. მარა გარემოება კი ჩემი ჩამოგავს როსტევანს.

**ბეჟ.** და მიტომ ოხრავ? მართლა, რომ კაცის გული გაუმაძღარია!.. შენ თუ სახვნეში გაქვს, ძე რაღა უნდა ვსთქვა? ცოლი არა მყავს და შვილი!.. აქეთ-იქით თრევა-ჯანჯალში დავბერდი—ბერ-კვიცივით. შენ შვილი მაინცა გყავს.

**ვახ.** ეჰ, რაღა ყოლაა? განსვენებული მაკრინე რომ მომიკვდა, ეგ პატარა დამრჩა. მასუკან დედაც მე ვარ მაგისი და მამაცა. მზე და მთვარე მაგაზე ამომდის!

**ბეჟ.** მერე?

**ვახ.** სხვა ცოლი მე აღარ ვეძიე და შვილი! და აი როგორ მიხდის ამაგს?!..

**ბეჟ.** როგორ? არ გემორჩილება თუ?

**ვახ.** რა ბრძანებაა? მორჩილებით ნამეტანიც არი, მარა იმ ერთ რამეზე ურჩობს.. ვეუბნები, შვილო, ხომ ხედავ? დავბერდი. აღარა ვარ?.. დროა, რომ აწ შენ მოეკიდო ოჯახს. ცოლი შეირთე, შვილები გეყოლება, ოჯახს ნუ გამიცივებ; მომასწარ შენს ბედნიერებას მეთქი და არ იქნა, ვერ შევაგონე. სულ „მაცა", „მაცას" იძახის. მე კი ვაცლი, მარა მე რომ აღარ მაცლის სიბერე.

**ბეჟ.** მაგაზე მეც ძალიან მწყდება გული!.. მე სულ მაგას არ ჩავჩიჩინებ? ძალიან გულით მინდა, რომ დიდებულიძის ქალი შეირთოს. ოჯახი კარგი, ქალი განათლებული, მშვენიერი; ერთი ვერავინ სჯობია ჩვენში!.. რა აქვს დასაწუნი რომ დაიწუნოს?

**ვახ**. მერე რას გეუბნება?

**ბექ**. ახლა მაგის დრო არ არის.. არე-ულობაა!..

**ვახ**. მაგითი მატყუა სამი წელიწადი. ახლა მაინც ცოტათი დამშვიდებულია ქვეყანა.

**ბექ**. და დამშვიდებულიც რომ არ იყოს, მაგას რაი? უცოლობა მაინც არ არგია.. დროა, თვარა იმასაც ჩემსავით გამოეპარება დრო თვალსა და ხელს შუა.

II

ისინივე და **დათია**

**დათია** ფასია მოვიდა ლაშაძე. ნახვა უნდა?

**ვახ**. ვისი? ჩვენი თუ ალექსანდრესი?

**დათ**. ხაზეინისო.

**ვახ**. მაგას არ გეტყოდა— „ხაზეინის“ო!.. ვაჭარი ხომ არა ვარ, ხაზეინი დამიძახოს?

**დათ**. კნიაზის ნახვა მინდაო და ის არ უთქვამს რომლის?

**ვახ**. მოახსენე მობრძანდეს.

**დათ**. ვეტყვი. (მიდის)

**ვახ**. ვერ ხედავ? მამა ჩემი არ წამიწყდება, ფასია არც ხაზეინს იტყოდა და არც კნიაზს! ისე უზრდელი არ არის!.. „ბატონიო“ იტყო-და, მარა ეგ როგორ გაიმეორებს? ბატონობა ხომ გადავარდნილია?!..

**ბექ**. დაბრუნების ეშინია.

**ვახ**. ახლა მაინც ველარ ჰხედავენ, რომ არ გაუმართლდათ რასაც ელოდენ? მიწებს მაგათ-კი არ აძლევენ, სხვებს ურიგებენ მადერ... გადმოსახლებულებს.

**ბექ**. ისინი მაინც თავისას გაიძახიან: ჩვე-ნი დრო ისევ დაბრუნდებაო! გამოვიდეს ჯერ ფოთოლიო.

**ვახ**. ფოთოლიო?

**ბექ**. ჰო, ფოთოლი!.. ვითომ გაზაფხულ-დეს... გაშრეს ქვეყანა, რომ ტყეში დამალვა შეიძლებოდესო...

**ვახ**. ჰმ, ვინ არიან, რომ მაგ საწყლებს ატყუილებენ?

III

ისინივე და **ფასია** შემოდის

**ვახ**. ოჰ. მშვიდობა თქვენი ნახვა!

**ბექ**. ფასიას ვახლავარ!

**ფასია** (თავს უკრავს) დილა მშვიდობისა!..

**ვახ**. რათ დაგვივიწყე ამდენი ხანი, რომ აღარ გვნახე?

**ფას**. ბევრჯერ მოვინდომე, მაგრამ ველარ მოვახერხე. მარტო-ხელი კაცის საქმე ხომ მო-გეხსენებათ? ჯერ იყო და შავმა ქვამ გაგვწყვი-ტა წელში.

**ბექ**. მართლა მე და ჩემმა ღმერთმა! ადრე რომ ხუთ თუმნათ დავიჭერდით ხოლმე მოსამ-სახურეს, ახლა ოცს არ გვჯერდებიან.

**ფას**. ან მაგას ვინ სჯერდება? ფულითაც რომ აღარ დგებიან?! ჩვენც ბატონობა გვინ-დაო!.. ნურაფერს გაგვაკეთებინებთო და ვინ ოხერია, რომ ტყვილა გადაყრის ფულებს?

**ბექ**. უსწავლიათ რალაც „ბოიკოტია“ და მოგვეძალენ.

**ვახ**. ზრდილობაც რომ დაკარგეს... ერთი გლახა ბიჭი მიგდია, ქვეყნის ფულს ვაძლევ და მაინც ვერა გამიბედნია რა, რომ დავსაქმო.

IV

ისინივე და **ალექსანდრე** შემოდის, თან **იოსები** შემოყვება და **ოთხი გლეხი**. იოსები და გლეხები განზე გადგებიან.

**ბექან**
**ვახუშტი** } (გლეხებს) გამარჯვება თქვენი!

**გლეხები** (ქუდს იხდიან, თავს უკრავენ) ღმერ-თმა ნუ მოგვიშალოს თქვენი დღეგრძელობა!..

**ალექსანდრე** (ხელს ართმევს ფასიას).

**ვახ**. (ალექსანდრეს) გაარიგე რამე?

**ალექ**. ვერაფერი! ასე მითხრა, მე ყოლი-ფერი გამოვიკვლიე და თქვენ ნულა გაერევითო.

**გლეხ**. დავიღუპეთ,— თქვენი მტერი და-ღუპულა!..

**ალექ**. სწორეთ რომ შესაბრალისნი არიან (მიუბრუნდება ფასიას) დრუბეთში ვილაც დამწვა-რა და უჩივლია.—გლეხებმა დამწვეს, მოძრაო-ბაში რომ არ ვერიე, მემტერებიანო.

1-**გლეხი** ახლა ჩვენ მოგვადგენ ოთხს სო-ფელს, გინდათ თუ არა გვითხარით ვინ დასწვაო? თუ არა და თქვენ უნდა გადიხადოთო. კომლზე ოც-ოცი მანეთი შეგვაწერეს.

2-**გლეხი** მაინც წელში გაწყვეტილი ვართ და ამოვარდით! ამოვარდით!

3-**გლეხი** ვიცით ვინც დასწვა! განა არ ვიცით? თითონ პატრონმა წაუკიდა თავის ხე-ლით ცეცხლი.

**ფას**. მერე რატომ არა სთქვით?

4-**გლეხი** ვსთქვით, მაგრამ ვინ დაგვიჯერა?

გამონახეს ვიღაც გამოსუქინსინებულები და ისინიც იმოწმეს...

**ალექ**. ვინა?

**იოსები**. აი ის მაწანწალები, თქვენი ჭირიმე. ქალაქელები რომ არიან ნათრევი და აღარც ღმერთი სწამთ და აღარც ხატი.

**ბეჟ**. მართალი ნათქვამია: ციხე შიგნიდან გატყდებაო?

**ვახ**. მაცხოვარმა, ვენაცვალე მის ძლიერებას, თორმეტი მოციქული აირჩია მთელ-ქვეყანაზე და იმათშიც კი გამოერია ერთი გამცემელი იუდა.. და სოფელში რომ თითო-ოროლა გამოერიოს, რა გასაკვირალია?

**ფას**. ეგ მართალია, მაგრამ თვითონ პატრონი რად წაუკიდებდა ცეცხლს?

**გლეხ**. ტრახში ქონდა!.. ჩივილი კი იაკობმა ურჩია, რასაც გადაგვახდევინებდენ, ატუკატია და შუა გაიყოფენ.

**იოს**. მაგისთანა აწი ბევრი იქნება: ვინც არ გგონია ყველა იქით მიდის. ასე მოგახსენებენ აფრასიონი იაკობმა გასცაო და სამსახურშიაც მიუღიათ.

**ფას**. იაკობი ჰმ.. მოძრაობაში კი პირველი ის იყო.

**იოს**. პირველი რავა არ იყო, შენი ჭირიმე? სულ იმას გვიჩიჩინებდა: ნუ დაზოგავთ, თავად-აზნაურები ბეჟუები არიან: ნუ დაზოგავთ და მათი ადგილ-მამულები თქვენ დაგრჩებათო! და ახლა კი იქით გაიძახის.

**ვახ**. (ბეჟანს) ეს შენზე თუ უთქვამთ: ბეჟანი ხომ შემოკლებული ბეჟუაა?

**იოს**. არა, შენი ჭირიმე! ყველას ასე ეძახდენ, ვისაც კი რამე გააჩნდათ.

**ვახ**. თქვენ რაღას გეძახდენ, რა ხართო?

**გლეხ**. ჩვენ შენ ჭირიმე...

**ვახ**. თქვით, რისი გეშინიათ?

**იოს**. (იცინის) პრონეტარიო?

**ალექ**. პროლეტარი? მერე და საიდან გახდით პროლეტარი?

**იოს**. მქადაგებლებმა გვიბოძეს! მუშა რომ ხართ, პრონეტარი უნდა გახდეთ და მაშინ ყველას ჩამოერთმევა მიწები და თქვენ მოგეცემათო; მიწა, ვინც იმუშავებს, მისი იქნებაო!

**ვახ**. გასაკვირველია! როგორ დაბრმავდა ჭკვიანი ხალხი და როგორ დაიჯერა?

**ალექ**. ეგ მაგრეც იქნება მამა ჩემო! მიწა ყველას იმდენი უნდა ჰქონდეს, რამდენიც მოუნდება სამუშაოთ.

**ვახ**. მაგას მეც გეთანხმები, შვილო, უმიწოთ მუშა რას ვარგა? მაგრამ ის ობროდობა, რომ ბატონებს ჩამოართმევენ და თქვენ დაგირიგებენო, როგორ დაიჯერეს?

**ალექ**. (ნაღვლიანად იღიმება) გაჭირვებამ აფიქრებინათ!.. აქ მეთოხედი, სახელმწიფო გადასახადი, იქ შკოლა, კანცელარია, დრამა და სხვანი... როგორ უნდა გაძლოლოდა ყოლიფერს უადგილ-მამულო გლეხი?

**ფას**. ეგ ყოლიფერი მართალია, მაგრამ როგორ ვერ გამონახეს უკეთესი საშუალება, რომ ცეცხლით დამწვარს მდუღარე გადაასხეს... როგორ არავინ გამოუჩნდათ უკეთესის მრჩეველი.

**ალექ**. სხვა გვარ რჩევას დაიჯერებენ კი? კაცს რომ სიცხეს მისცემს და წყურვილი უნდა მოიკლას, ეს უფრო დაუჯერებს იმას, ვინც მწარე წამალს აწოდებს თუ ვინც ცივ წყალს?.. ხალხიც დასნეულებულიყო და წყურვილს იკლავდა, სიცხე მიცემულს, უმიწოებს მიწებს ჰპირდებოდენ და მოდი და ნუ დაიჯერებდი და ნუ იქნებოდი პროლეტარი?!

**ვახ**. გამაგებიეთ ეგ პროლეტარი რა არის?

**ალექ**. პროლეტარი? სხვაგან, დიდ ქალაქებში ყველგან ქარხნებია. იმ ქარხნებს თავისი მუშები ჰყავს, იმ მუშებს არც სახლი აქვთ, არც კარი, არც ადგილი და არც მამული. მხოლოთ ხელები აქვთ, რომ იმუშავონ და ცოლ-შვილი დღიურად ასაზრდოვონ. თუ სამუშაო დაკარგეს ხომ შიმშილით უნდა ამოწყდენ? ქარხნების პატრონები სარგებლობენ ამითი და აწვალებენ მუშებს. მუშაობით ბევრს ამუშავებენ და ქირას ნაკლებს აძლევენ. აი ეს მუშები არიან პროლეტარები, რომ ახლა ყველგან მოძრაობენ და ებრძვიან ბურჟუებს.

**ბეჟ**. მერე და ჩვენში ან ქარხნები სად არი და ან მაგისთანა მუშები?

**იოს**. ქარხნების რა მოგახსენოთ და მუშები კი ბევრია. იმდენი სიცოცხლე გაქვსთ შავი ზღვის პირი სულ მოდებულია. სად არ არიან ჩვენები სამუშაოთ წასული მიწა რომ აღარ ჰყოფნით.

**ალექ**. ჰო, მიწა რომ აღარ ჰყოფნით!.. გამოდის რომ ჩვენში მუშა მიტომ კი არ მუშაობს, რომ პროლეტარია; მიტომ მიდის და

მუშაობს გარეთ, რომ ფული შეიძინოს და ადგილ-მამული იყიდოს. და მაშ პროლეტარი კი არა, ისიც ბურჟუა ყოფილა.

**იოს.** რა ვიცი შენი ჭირიმე? ძალიან კი მიგვაქ თავი ამ პროლეტარობით და თუ მაგრეა, ღმერთმა დაგვიფაროს მაგისთანა ჭირისაგან!..ორი კვალი მიწა მაქვს და იმის ჩამორთმევა რომ ვინმემ მომინდომოს, ზედაც შევაკვდები.

**ფას.** მაშ მართლები ყოფილან მეორე პარტიაში რომ არიან, ფედერალისტები რომ ქვიათ... და რას ერჩით?

**ალექ.** ვინ ამტყუნებს ანც ერთს? მაგრამ შეცდომა იქითაც ბევრია!.. რაც ერთს დროსა და ერთს ადგილზე სიმართლეა, ის შეიძლება მეორეზე შეცდომა გამოვიდეს!.. ყველაფერი დროსა და ადგილის ვითარებით უნდა გაიზომოს.

**ფას.** არა ფედერალისტების პროგრამმას მაინც კარგი სარჩული უძევს „ძმობა“, „თანასწორობა, „ერთობა“ და სიყვარული. ამას რა სჯობია?

**ალექ.** ის რაც სახარებაშია?! კეთილი, მაგრამ იმასაც თავისი სახე უნდა!.. ვსთქვათ რომ შენს სახლში უცხოელებს უნდათ შემოსვლა. მოგადგენ კარზე და დაგირეკეს „ძმოაისა“, „ერთობის“ და „თანაგრძნობის“ სახელით—შეგვიშვი სახლშიო!

**ფას.** კარი უნდა გაუღო, მეტი რა გზაა?!.

**ალექ.** კეთილი! შემოვიდნენ ერთობის სახელით და მერე გეუბნებიან, რადგანაც ყველა ვერ ვეტევით, ჩვენ გადაგვიწყვეტია ხმის უმეტესობით, რომ შენ გაბრძანდე და ჩვენ დაგვიტოვე შენი სახლ-კარიო.

**ფას.** იმე! მაგას როგორ მეტყვიან?

**ალექ.** გეტყვიან იმიტომ, რომ ეს ხერხი წინ და წინვე ედვათ გულში და მხოლოდ შენ გაბრიყვებდნენ! და თუ შენ არ დაეთანხმები, „შოვინისტს“ დაგიძახებენ და გაშინებენ ამით.

**ფას.** იჰ, რაც უნდა ის დამიძახონ? როგორ დავეთანხმები მაგაზე? „შოვინისტი“ რაა? მე კი არ მივდივარ მის სახლში, ის მოდის ჩემსაში და როგორც სტუმარი ჩემს ნებაზე უნდა ეყოს.

**ალექ.** გვიანღა იქნება მაგისი თქმა! ძალა მათ ხელში იქნება... ახლა შენის სახლის ნაცვლათ ავიღოთ ეს საბრალო საქართველო. ფედერალისტების სახელით შემოდიან სხვა და სხვა ერები და შენც იძახი ძმობისა და ერთობის სახელით: მობძანდით, თქვენთვისაც არის ადგილი და სხვანი. იმათაც ისარგებლეს და შემოვიდნენ, დასახლდენ და მერე გითხრეს: ჩვენ მეტი ვართ და ხმის უმეტესობას დაემორჩილეთ და ან წაბძანდით აქედანაო.

**ფას.** ეგ რა სათქმელია?

**ალექ.** სათქმელია თუ არა,ასე კი მოხდება!.. ეკალი რომ ამოვა და ჩხვლეტას დაიწყებს, გვიანღა არის მასუკან „ვაი! ვაის!“ ძახილი: როცა ითესება, მიშინ უნდა ხელის შეშლა და არა მისი ძახილი „ბრინჯია და ხორბალიო“. ფედერალისტობა მაშინ არის კარგი, როცა სუყველა თავთავის სახლში ზის და იქედან გამოიძახის „ერთობა“ და „თანასწორობაო“.

**ფას.** ეგ ხომ აგრეა.

**ვახ.** აგრეა?! აბა შეხედე: საქართველოს მიწა-წყალი ვის ხელში გადადის? ან რა ხაფანგს უგებენ?!

**ფას.** ჰმ! მაშ დავლუპულვართ და ის არის...

**ბეჟ.** ძალაზე თუ მივარდა საქმე, შენი მტერია, ჩვენ ველარა გავარიგოთ რა!.. ჯერ იყო და იარაღი აგვყარეს! ბრაზიანი ძაღლი, რომ შემოვარდეს სოფელში, მომგერებელი აღარავინ არის. ერთ თოფიან ავაზაკს შეუძლია მთელი სოფელი ააოხროს.

**ალექ.** ძალაზე ვინ ამბობს? არ გაგიგონიათ; „ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო?“ სადაც მახვილს აღარა აქვს გასავალი, იქ ხერხია საჭირო.

**ბეჟ.** მარტო ხერხით რას გააწყობ ძალასთან?

**ალექ.** ხერხიც არის და ხერხიც! მელა ხომ პატარა პირუტყვია... იცით როგორ იშორებს რწყილებს როცა ზაფხულში დაეხვევა? პირში ჯღანს დაიკავებს, ჩადგება წყალში ჯერ მუხლებამდე, მერე მუცლამდე; მერე მთელ ტანს დამალავს წყალში და მარტო ცხვირი უჩანს... არის ისე გაჩერებული დიდ-ხანს, სანამ წყალს არ გაატანს ჯღანს და არ გამოვა წყლიდან.

**ფას.** ეგ სწორეთ მეც მინახავს ჩემი თვალით, მაგრამ ვერ გამიგია რა თამაშია?

**ალექ.** თამაში კი არა ხერხია!.. რწყილები ნელ-ნელა მშრალზე გადადიან და მერე

ყველა ჯღანზე რომ მოიყრის თავს, გაატანს წყალს... და თუ პირუტყვსაც კი აქვს ამდენი მოფიქრება, კაცი რას არ მოახერხებს, თუ ეცდება?

**გლეხები** (იცინიან). აი დასწყევლოს ღმერთმა! ტყვილა კი არ ეძახიან ეშმაკს.

**ფას**. კი, მაგრამ სად უნდა ვიშოვნოთ იმისთანა ხერხი, რომ საფრთხე ავიშოროთ და ერთობაც მოვიპოვოთ?

**ალექ**. ეგ მხოლოდ სწავლა-განათლებით შეიძლება. ის არის, რომ ათანასწორებს ყველას! სხვა ყოველიფერი ტყუილია! აი ჩვენ იმას უნდა მივაწყვეთ: ეგ არის ერთად ერთი გზა და ვინც წინ გადაგველობება, თავდადებით ვებრძოლოთ!.. მაგრამ ხერხით კი არა, იარაღით.

**იოს**. არა, შენი ჭირიმე, ჩვენ სულ მაგ სწავლამ დაგვღუპა და დაგვაქცია!.. ვაშენებთ შკოლებს, ვაბარებთ შვილებს და რა გამოდის; იქ გამოზრდილები აღარც შინ ვარგიან — და აღარც გარეთ?

1-**გლ**. ერთი შვილი მიბარია შკოლაში. ამას წინათ აიღო წიგნი ხელში და ხმა მაღლა კითხულობდა: მამალო, მამალო, ოქროს ბიბილოვანოო (იცინის).

2-**გლ**. მერე სად არის ოქროს ბიბილოიანი მამალი! (იცნიის) ნეტავი მართლა იყოს და...

1-**გლ**. დილ-დილას რათა ჰყივი და ბავშვებს ძილს რად უფრთხობო...

3-**გლ**. ჰმ, მოდი და უყურე შენ?! ღმერთს მიტომ გაუჩენია მამალი, ვენაცვალე მის სახელს, რომ განთიადისას დაიყივლოს ხოლმე და მუშა გამოაღვიძოს და ისინი კი ითხოვენ — რად ყივიო?

4-**გლ**. არა, რასაც აქ ასწავლიან, ის ჩვენ არაფრათ გამოგვადგება! იმათ ოჯახის არა გაეგებათ რა, იმათ ჩვენი არა ესმით რა!..

**ალექ**. მე დღევანდელ მოჯორჯვილ განათლებაზე კი არ გეუბნებით!.. მე მაქვს სახეში ის ეროვნული სწავლა-განათლება, რომელსაც საფუძვლად სახარება უძევს და სახურავათ ზეცის მადლი.

**ვახ**. (აღტაცებით) ვაი ჩემო მაკრინე! სადა ხარ ახლა, რომ არ გესმის, რას ამბობს შენი შვილი?

**ბეჟ**. მართლა, ჭეშმარიტად!.. მაგრამ ნათქვამია: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო". ერთი მაკრინე თუ წაგვივიდა ხელიდან ღვთის ბრძანებით, მეორე მისთანა და მისი სამაგიერო უნდა შემოვიყვანოთ სახლში!.. შენ რას იტყვი ალექსანდრე?

**ალექ**. მე იმის ფიქრში ვარ: რა ვუშველო ამ საწყალებს?

**ვახ**. რაღა უნდა უშველო, აკი უარი უთქვამთ?

**ალექ**. მინდა, რომ უფრო შორს წავიდე და ვეცადო.

**გლეხები** ღმერთმა ნუ მოგვაკლოს თქვენი მოწყალება. (თავს უკრავენ)

**ვახ**. იოსებ! უთხარი, რომ უსადილოთ არ გაუშვან ესენი!

**ერთი გლეხი** არა, შენი ჭირიმე! ჩვენ ბაზარში გიახლებით:

**ვახ**. რავა? ისიც კანონში გიწერიათ, რომ თავადიშვილისას არა სჭამოთ რა?

**გლეხები** არა, შენი ჭირიმე! რატომ იკადრებთ? (გარედან მოისმის თოფის ხმები. ყველანი წამოვარდებიან ზეზე).

**ბეჟ**. ეს რა ამბავია?

**იოს**. არაფერი, თქვენი ჭირიმე: წელან სტრაჟნიკებმა აიარეს ზევითკენ. ვიღაც გადავარდნილს დაეძებდენ და ის იქნება.

**ვახ**. გაჭირდა ღმერთმანი სიცოცხლე.

ფ ა რ დ ა



# მ წ უ ხ რ ი

დაღამდა, მთვარე აღმოხდა კიდევ—
გადაეფარე, ღრუბელთა რიდევ!

თორემ შევწუხდი, გული ღონდება:
სატრფოს თვალები მომაგონდება...

ასცურდა შორს, შორს. ასცილდა ძირს მთებს,
გაფითრდა, ცეცხლად აღარ ანათებს;

სატრფოს თვალებშიც ვნება გაცივდა,
წმინდა სხივები ცრემლად დასცვივდა...

ნეტარხსენებავ, ჩააკვდი ჩემს გულს.—
ღმერთი აღარ მყავს,—ლოცვა აღარ მსურს.

**ბაბილინა**



გეურქ ფირუმიანი

**ქართულ და სომხ. თეატრთა სცენის მოყვარე**

(მისი 10 წ. სასცენო მოღვაწეობის გამო)

თბილისის სახალხო თეატრს უკვე თავისი ისტორია აქვს და სახელოვანი მოღვაწენიცა ჰყავს... სახალხო თეატრმა უფრო ნათელჰყო ის ჭეშმარიტება, რომ თეატრი საერთაშორისო იდეალების ერთი მთავარი გამავრცელებელთაგანია და ეროვნულ სხვადასხვაობას ხელოვნების ტაძარში არავითარი ადგილი არა აქვს.

აი, ერთი მისი დაუღალავი მუშაკთაგანი —გ. ფირუმიანი, ტომით სომეხი, აღზრდით და მისწრაფებით-კი ნამდვილი საქართველოს შვილი. 22 ივნისს 1910 წ. სწორედ ათი წელიწადი უსრულდება, რაც სახალხო თეატრის ასპარეზზე გამოვიდა პირველად „ავჭალის აუდიტორიაში“, შემდეგ ავლაბარში მურაშკოსა და არაქსიანის თეატრებში, როგორც მესვეური ავლაბარში სახალხო წარმოდგენებისა. იმ ხანად გ. ფ—ს შეძლებაც ხელს უწყობდა და თავის ნივთიერ-სულიერ ძალ-ღონეს არა ზოგავდა წარმოდგენების გასამართავად. 1904 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენებშიაც მიიღო მონაწილეობა და ამავე დროიდან მოაწყო ქართულ-სომხური შერეული წარმოდგენები ავლაბრელთათვის; იგი ხანგამოშვებით მონაწილეობდა ხოლმე აგრეთვე ქართულ სექციაში. ეს ერთი წელიწადია ზუბალაშვილთა სახალხო სახლის სომხურ სექციის წარმომადგენელ-ადმინისტრატორია და დიდის ბეჯითობითაც მუშაობს სახალხო თეატრის ასპარეზზე. მისი ამპლუაა ფატები და კომიკური როლები. აგრეთვე ცნობილია ვითარცა ნიჭიერი კუპლეტისტი.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, გ. ფირუმიანი სახალხო თეატრისათვის არა ზოგავდა თავის უკანასკნელ გროშსაც-კი, რამაც გაღატაკებამდენ მიიყვანა იგი: ეს ხვედრია სახალხო საქმის ყველა ჭეშმარიტ მოღვაწეთა.

22 ივნისს, სამშაბათს, მისი მცნობ-მეგობარნი და ამხანაგნი სახალხო სახლში უმართავენ ათის წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად „გ. ფირუმიანის საღამოს“—წარმოდგენას და იმედია, სახალხო თეატრის აღორძინებისა და უანგარო მუშაკთა პატივისმცემელი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ წარმოდგენას.

## კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი

**სახალხო სახლში** *)

ღმერთმა აშენოს შენი ოჯახი, ფოცხვერაშვილო! ღმერთმა დაატკბოს შენი დედმამის სული ისე, როგორც ჩვენ დაგვატკბე იმ ღამეს შენს კონცერტზე. რა მშვენიერება იყო და რა სასიამოვნო! ჩვენი ქართული სიმღერები გადაღებული ნოტებზე და ორკესტრისთვის დაწერილი, როცა ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ფლეიტა, სტვირი, სალამური სკრიპკა, ვიოლონჩელი, კონტრაბასი, გაბოი და სხვა და სხვა სამუსიკო იარაღი და ყველა ერთად ისე მწყობრივ და შეხამებულად გამოსთქვამდენ ხალხურ ხმებს, რომ კაცი აღტაცებაში მოდიოდა. მე უსიტყვო კაცსაც კი ხმა ამომაღებინა და არ შემიძლიან სხვებსაც არ გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილებანი.

კონცერტის დასაწყისში ი. კარგარეთელმა ხალხს განუმარტა მუსიკის მნიშვნელობა, ძალა, აღმოცენა და სხ.; განა არის ქვეყანაზედ ისეთი კაცი, რომ

*) რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა. რედ.

მუსიკის ძალის წინაშე ქედს არ იხრიდეს? თუნდ უდიდესი მეცნიერი გართული რო იყოს თავის საქმეში და იმის მახლობლად რომ მუსიკა დაუკრათ, არა მგონია, ყურადღება არ მიაქციოს მუსიკას; ადამიანი რაც უნდა საინტერესოს და დიდის მწერლის ნაწარმოებსა კითხულობდეს და ამ დროს მუსიკა შემოესმას, არ შეიძლება, კითხვას თავი არ დაანებოს და მუსიკას არ მიაპყროს თავისი ყურადღება. ამითი ის მინდა გამოსთქვა, რომ მუსიკა ძლიერია და ღონიერი და მისი მხარის აქცევა, როცა იგი ესმის კაცს, ყოვლად შეუძლებელია.

არ არის ქვეყანაზედ ისეთი კუთხე, რომ თავის სიმღერა და მუსიკა არა ჰქონდეს და ამ მხრივ ნამეტნავად ჩვენი კუთხეული ქვეყანაა შესანიშნავი: აქაური მცხოვრებთა ჭირი და ლხინი, ყოველი ნაბიჯი უსიმღეროთ წარმოუდგენელია.

მაგალითად, ქორწილში ჯერ მაყრულით იწყობენ და მერე ხომ სხვა და სხვა სიმღერებს ბოლო აღარ უჩანს, როცა სამუშაოდ მიდის ჩვენი ხალხი— მღერის; როცა მუშაობს—-კიდევ მღერის, ხვნაში, მკაში, თიბვაში, სხვლაში, რთველში, თევზაობაში სულ მღერის და მღერის. ქართველი კაცი ისეა ბუნებით დაჯილდოებული და გატაცებული სიმღერით, რომ როცა დაღალულ-დაქანცული მუშაობიდან შინა ბრუნდება და ფეხებს ძლივს და მოათრევს, მაშინაც-კი მღერის. ურმული?! ქართული ურმული ხომ განთქმულია თავის სიმშვენიერით. საქართველოში ავადმყოფებსაც უმღერიან და ამით ავადმყოფს უქარწყლებენ დროებით მაინც თავის ავადმყოფობას და სასიამოვნო სიმღერით შვებას ჰგვრიან; ავადმყოფი თითქმის ისვენებს, ერთობა სიმღერის ჰანგებში და ხშირად ჩაეძინება კიდეც და ამასობაში სენის ატანაც თითქმის უადვილდება.

როგორც ზევითა ვსთქვი,ჩვენი სამშობლო ქვეყანა მდიდარია სხვა და სხვა სასიამოვნო სიმღერებით და პროფესორ კასუჩერკოს სიტყვით, ქართული სიმღერები ფრიად განსხვავდება ყველა სხვა აზიურ ხალხთა სიმღერათაგან თავის ორიგინალობით და სასიამოვნო ჰანგთა სიუხვით. რადგან ბუნების კანონის ძალით მოხუცნი მიდიან და ახლებში-კი ცოტ-ცოტათი თან და თან იკარგება ძველი სიმღერები და რომ სულ არ დავკარგოთ ჩვენი სამშობლო ჰარმონია, საჭიროა არა მარტო ფოცხვერაშვილი, არაყიშვილი, ბალანჩივაძე, ფალიაშვილი, კარბელაშვილნი და სხვა, არამედ საჭიროხი არიან მრავალნი რომ ამოდენა სამკალი არ ჩაიწოს და არ დაიკარგოს; თორემ ერთი-ორი კაცი ვერას გააწყობს და საბოლოვოდ დავკარგავთ იმას, რასაც ჩვენამდისვაი-ვაგლახით მოუხწევია.

ბევრი ქართული ხმები ნოტებზე გადაღებული აქვთ ზოგიერთ არა ქართველ მემუსიკეთ, მაგრამ ისინი რაც უნდა კარგი მცოდნენი იყვნენ მუსიკისა, მაინც ისე ვერ გამოიყვანენ ნოტებზე და იმ სულს და ხასიათს ვერ ჩაუდგამენ ქართულს ხმებს, როგორც ამას მოახერხებს მუსიკის მცოდნე ქართველი. ჩვენდა საუბედუროთ, ქართველნი, მუსიკის მცოდნენი, ძალიან ცოტანი გვყვანან; ძალიან ცოტანი არიან მუსიკის ცოდნით აღჭურვილნი, ესე იგი მცოდნენი არა მარტო ან სიმღერისა, ან ნოტებისა. ამ ნაირი მცოდნენი ვერას გაწყობენ, თუ ორკესტრის ყველა საკრავთან არ არიან დაახლოვებულნი. ამ გარემოებას ქართველობამ უნდა დიდი ყურადღება მიაქციოს და ეცადოს ამნაირი ცოდნის მოსურნეთ ხელი შეუწყოს.

ორკესტრმა რომ ქართული სიმღერები დაუკრა და თან ზედ გუნდმა დასძახა, გული სიხარულით ამევსო, მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. რა კარგი იყო! რა მშვენიერება იყო! ნეტავი კიდევ გამაგონა! ყველა სიმღერა ხალხმა გაამეორებინა. კაცო! გაამეორებინა-კი არა, ხუთ-ხუთჯერაც რომ დაეკრათ, დიდის სიამოვნებით მოვისმენდით. „მურმან-მურმან“ «დიელი“, „ფაცხა“, „ვახტანგ მეფე“, „გოგონა და გოგონა“ და სხვები ისევ ისევ ყურში მიდგას. „ფაცხა“, მგონი, უფრო მკვირცხლად უნდოდა, ვიდრე იქა სთქვეს, მაგრამ არა უშავდა-რა, ისეც კარგი იყო. ნამეტნავად „გოგონამ“ მოახდინა ხალხზე დიდი შთაბეჭდილება და მის გათავებისას ძლიერი ტაში დაჰკრეს და გაამეორებინეს.

„ამირანის ბრძოლას ბაყ-ბაყ დევთან“ მთელი ორკესტრი უსიტყვოდ მოგვითხრობდა და ვისაც-კი გაგონილი ჰქონია როდისმე მესტვირის მოთქმა, ის ადვილად მიხვდებოდა და გაიგებდა ორკესტრისაგან ნაამბობს ბრძოლას. ძალიან მკაფიოდ იყო გადმოცემული. ცოცხალი სურათებიც მშვენივრები იყო და ბოლოს სურათმა „მიჯაჭვული ამირანი“ – ხომ ხალხი დიდს აღტაცებაში მოიყვანა; როგორც სურათის კომპოზიციამ, ისე მისმა დაფერადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და სურათის თავის დანებება აღარ უნდოდა. ეს მიჯაჭვული ამირანი არის აგრეთვე დახატული კავკასიის მუზეის კიბის კედელზე, მაგრამ ეს დიდად ჩამოუვარდება იმ სურათს, რომელიც გვაჩვენეს „სახალხო სახლში“ და

ურიგო არ იქმნება, რომელიმე ქართულმა ჟურნალმა ეს სურათი სორედ იმ ფერადვე დახატული თავის ხელის მომწერთ პრემიად დაურიგოს.

ორიოდე სიტყვაც ფოცხვერაშვილის პიესაზე „აშენდა საქართველო“. სწორედ რომ „აშენდა საქართველო!“ ხალხო! გაიგეთ, რომ სვენ, ქართველები, მსოფლიო ფერხულში ძალიან უკანა ვართ ჩამორჩენილნი და ჩვენთვის ყოველი ქართველი, სწავლით აღჭურვილი, სხვათა თემთა შედარებით მთელს ჯარს წარმოადგენს. თუ რამე უთქვამს ფოცხვერაშვილს, ჩემის აზრით, გული შესტკივნია ჩვენი პატარა სამშობლოსათვის და ამ პიესით მას უნდა გამოაფხიზლოს ქართველი სტუდენტობა. ეს მას მტრობით კი არა, სიკეთით მოსდის და გულმტკივნეულობით დაუწერია. „მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირს უკანაო“.

ჯერ აქ რაებსა სჩადის მოზარდი თაობა, რომ იქ უპატრონოდ დარჩენილი რას ჩაიდეხს. მაგრამ ამაზე შემდეგ ვიტყვით.

**მათე**

## პაწია შენიშვნა მოგზაურ დასებს

გაზაფხულის დაწყებისას ქალაქებში თეატრის სეზონი თავდება, სამაგიეროდ ამ დღიდან ჩაღდება წარმოდგენები პროვინციებში და გრძელდება შემოდგომამდის. ამავე დღიდან იწყებენ ქალაქის დრამატიულ დასნი მოგზაურობას დაბა-სოფლად.

ასეთი მოგზაური დასებით წრევანდელი წელი მდიდარია, მაგრამ საუბედუროდ ეს დასები ხშირად საზოგადოების გემოვნებას ალღოს ვერ უღებენ და ისეთ პიესებს არდგენენ, რომელნიც პროვინციელების არც სულსა ხვდება და არც გულს. უნდა იცოდენ ამ დასის გამგეთ, რომ ქალაქსა და პროვინციაში ერთი და იგივე მაყურებელი არ ყავს თეატრს; ამ გარამოებას კი ახლანდელი მოგზაური დასები ყურადღებას არ აქცევდენ: ქალაქსა და პროვინციას ერთ-და-იმავე პიესებით უმასპინძლდებიან. ასე მოიქცა წარსულ ხანებში დრამატიული დასი ვლ. მესხიშვილისა და კ. მესხის მონაწილეობით წამოსული, რომელმაც წარმოადგინა „ურიელ აკოსტა“, „შავი ბერი“, „ჰამლეტი“ „სიკვდილი ნაპოლეონისა“ და სხვა. ყველა ეს პიესები გაუგებარია პროვინციელებისათვის. სასურველია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდენ სამოგზაუროდ გამოსული სხვა დასნი და პროვინციებში თანამედროვე პიესებსაც დასდგავდენ. ქალაქებში ჩვენს თეატრს კომედია-ვოდევილებით ჩაეყარა საძირკველი და იმითივე უნდა დაედვას საფუძველი პროვინციაშიაც. მოგზაურ დასებს არ შეშვენის მარტოდ ჯიბისთვის ზრუნვა: მათ საზოგადოების გემოვნებას ალღო უნდა აუღონ და ის პიესები დასდგან, რაც მოსწონთ და ესმით. როდესაც თანამედროვე პიესებით მოვუპოვებთ ხალხში ნიადაგს თეატრს, შემდეგ ხალხს თავის თავად გადაექცევა მოთხოვნილებად კლასიკური პიესებიც.

**ტეზეი**

## † ბებურ გურგენის ძე ბებურიშვილი

(ნეკროლოგის მაგიერი)

ამ ორი კვირას წინად ქ. ოზურგეთს გარდაიცვალა ქალაქის თავი ბ. გ. ბებურიშვილი. მართალია ბებურიშვილი მოხუცებული იყო, მაგრამ მის გარდაცვალებას მაინც არ მოველოდით; მიუხედავათ წლოვანებისა, ის იყო მხნე, მკვირცხლი, ენერგიული, გატაცებული კონჩხერი ბერიკაცი და არა მოხუცი. მას კარგად იცნობდა როგორც იმერეთი, ისე ამერეთი. წინად მსახურებდა სამხედრო სამსახურში, მაგრამ მისი ცოცხალი, ენერგიული ბუნება ვერ შეურიგდა რკინის დისციპლინას და ადრე მიატოვა იგი... მას გატაცებით უყვარდა გურია და გურიაში მისი სამშობლო კოხტა სოფელი ლიხაური. შესწავლილი ჰქონდა კარგად გურული ზნე-ჩვეულება, გურული ჩონგური იცოდა, აფასებდა და ავრცელებდა გურულ სიმღერებს. შეაგროვა გურული ზღაპრები და გურული ხალხური თამაშობანი და რუსეთში გამოსცა რუსულ ენაზე.

დიდი მოყვარული იყო თეატრისა, — მან გადააკეთა სასცენოდ აკაკის „ნათელა“.

უყვარდა ხალხში წერა-წითხვის გავრცელება. ამ ათიოდე წლის წინად ლიხაურის საზოგადოებამ აირჩია სოფლის ორკლასიანი სკოლის საპატიო მზრუნველად. სოფლის საყვარელმა ბებურმა აქაც დაამჩნია თავისი ცოცხალი წაუშლელი კვალი. მისი მეცადინეობით სკოლასთან გაიხსნა სამეურნეო განყოფილება. სამეურნეო სწავლა რომ კარგად დამდგარიყო, ბებურმა იყიდა და სკოლას დაუმტკიცა (შესწირა) ორი ქცევა მიწა, სკოლასთან ახლო მდებარე.

ამ ორი წლის წინად, როცა ოზურგეთში ორი ძალა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთენ ერთმანეთს, პროგრესისტებმა ქალაქის თავად წამოაყენეს ბებურის კანდიდატურა და, როგორც იყო, კიდეც გაიყვანეს. ასეთმა მოულოდნელმა პატივისცემამ ბებური მთლად გაახალისა. ახალგაზდური გატაცებით შეუდგა თანამდებობის ასრულებას.. მას ეკუთვნის თაოსნობა ოზურგეთში გიმნაზიის დაარსებისა. ამისთვის მან მოვლო მთელი გურია... მაგრამ ხომ იცით, იქ, საცა ერთი მაშენებელია—ასი გამანადგურებელი. ერთხანს ბებურს ზევიდან კაის თვალით უცქეროდენ, მაგრამ როცა მან ვერ მოითმინა მოქალაქეთა გამათრახება, ქართველ მაჰმადიანთა გურულებზე წასისინება, ვერ მოითმინა და ხმა ამოიღო. მაშინ ისიც, ეს ყელ-ორდენიანი მოხუცი „ნებლაგონადიოჟნათ“ შერაცხეს და „ციცო!“ დაუძახეს. მის ჯიბრზე აღარც მის მერ დაწყებულ ქვეყნის საკეთილო საქმეებს მისცეს წინ-სვლა. „ოტსტავკასაც“ კი დაემუქრენ, მაგრამ ვერ მოხარეს; ბრძოლის ველი ცოცხალს თავის ნებით ვერ დაატოვებინეს.

და აჰა მოხუცმა განუტევა სული და მით ზოგთა გული გაახარა, ხოლო უმეტესობის-კი დაალონა.

მშვიდობა შენდა, ყოჩაღო მხუცო!

**ნაცნობი**

## დაბა-სოფლები

**დაბა ონი9.** თიბათვეს ადგილობრივმა სცენის მოყვარულებმა საკრებულოს დარბაზის სცენაზე წარმოადგინეს **„ორ ცეცხლ შუა“** და **„უბედური დღე“** ბალანჩივაძისა. ვიდრე წარმოდგენაზე ვიტყოდე რასმე, შევეხები ადგილობრივი სცენის მოყვარულთა მოქმედებას.

ყოველივე საქმეს მხოლოდ მაშინ მოსდევს სასურველი შედეგი, თუ თვით ამ საქმის მონაწილე წევრებში არის ერთსულოვნება, საქმის გულწრფელი მოპყრობა და პატიოსნური მუშაობა. დაქუცმაცება და დაგნინება-კი ელფერს უკარგავს ყოველს დაწყებულებას და შესამჩნევად აფერხებს. არ შემიძლია გულმტკივნეულად არ აღვნიშნო ას გარემოება, რომ ისედაც პატარა ჯგუფი აქაურ სცენის მოყვარულთა ორ ნაწილად გაიყო; ამ ნაირი საქციელი ერთის მხრით რომ თვით საქმის მეთაურთ ასუსტებს, ხალხის თვალშიაც ჰბადებს უნდობლობას; ამ გარემოებამ ნათლად იჩინა თავი 9 თიბათვის წარმოდგენაზე: წარმოდგენაში მონაწილეთა შორის ზოგთ ვერ შესძლეს პიესის გმირის სულიერი ვითარების გადმოცემა, ზოგნი უხერხულად აფათურებდენ ხელებს, ზოგნი სიტყვებს უალაგო-ალაგას სწყვეტდენ, რის გამოც აზრის მთლიანობა იკარგებოდა. წარმოდგენა ცხრის ნახევარის მაგიერ ათ საათზე დაიწყეს და ძლიერ ჩქარობდენ. მიუხედავად ყველა ზემო ნაკლისა, წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა, განსაკუთრებით ვოდევილმა. ცოტა რამ მაყურებლებზე; ერთი ჩინოსანი მაყურებელი წარმოდგენის მსვლელობის დროს მოქმედ პირებს შენიშვნებით უმასპინძლდებოდა, რითაც არღვევდა მყუდროებას და მით უშლიდა მაყურებელთ ყურადღება მიექციათ პიესის მსვლელობისათვის.

შემდეგისათვის სდგავენ „მეზობლებს“,

**დ. ნ.**

# სათეატრო ამბავი

## ადგილობრივი

**ქარ. დრამ. საზ. გამგეობა** გამალებით მუშაობს, მსახიობთ იწვევს, რეპერტუარს იმუშავებს. სეზონის დაწყებას ენკენისთვიდან აპირებს.

**ქუთაისის ქართ. დრამ. საზოგადოებამ** 7 ივნისის საზოგადო კრებაზე დაადგინა მადლობა გამოუცხადოს ვალ. გუნიას გასულ სეზონში ქართ. დრამატ. დასის ცოდნით ხელმძღვანელობისათვის, რომელმაც ქუთაისის თეატრს საპატიო სახელი მოუპოვა. კრების თავმჯდომარე **ჩიმაკაძე**.

**ქართული თეატრის დირექტორად** არჩეულ იქმნა ქართ. დრამატ. საზოგ. თავმჯდომარე ნიკ. გიორ. ქართველიშვილი.

**სომხ. დრამ. საზოგადოების კრებამ** განიხილა და დაამტკიცა გასული წლის ანგარიში და მომავალი სეზონისათვის გამგეობას მიანდო იზრუნოს ფულის მოპოებასა, დასის შედგენასა და განახლებაზე. ახალ გამგეობაში არჩეული არიან: ქ-ნი ვ. გ. მამულოვი, ბბ. ტ. იონისიანი, წურინოვი, კაფიევი, სარქისოვი, ნაზარეთიანი და ტერ-სარქისიანი. კანდიდატებად—ოქროევი, ლევონიანი, ბაბაიანი.

**შესწირეს სომხ. დრამ.** საზოგადოებას მანთაშოვის წლიური 4000 და აფრიკიანის 1000 მანათის გარდა, მილოვმა წლიურად 1000, ხოლო ჩილინგაროვმა 100 მან. ქ-ნმა მამულოვმა დავრდომილ მსახიობთა სასარგებლოდ დაარსებულ ფონდს—200 მან.

**სომხ. დრამ. საზოგ. გამგეობა** უკვე შეუდგა—დასისა და რეპერტუარის შედგენას. განზრახვა აქვთ რეჟისორებად მოიწვიონ—მწერალი შირვანზადე, ანუ მორიგე რეჟისორებად—არმენიანი და სევუმიანი. ამ წელს დასში იწვევენ სხვათა შორის ადამიანს, არმენიანსა ზარიფიანს, შახატუნის, აბელიანსა და სხვ.

**სახ. თეატრის სომხ. სექციამ**—ენკენისთვიდამ რეჟისორად მოიწვია მსახიობი, ალიხანიანი.

## რ უ ს ე თ ი

**ბულბული ვერცხლის გალიით საჩუქრად** მიუღია ოდესაში ვანბრანდტს ლაკმეს თამაშობის დროს. გალია მდგარა ვარდ-ყვავილთა კალათაში.—მართლა რომ აღმტაცებელია ასეთი საჩუქარი მსახიობი ქალისათვის, თუ ეს „ბულბული“ „იხვი“ არ იყოვო—დასძენს ჟურნალი „Т. и И.“.

**განდიდების სენით** ყოფილა ავად მომღერალი ლ. სობინოვი. სარატოვში კონცერტი გამოაცხადა. პირველ საღამოს კონცერტის დაწყებამდე სობინოვმა შენიშნა, რომ პარტერის პირველი ორი რიგი გაუყიდელი იყო. ამ გარემოებამ იმდენად იმოქმედა მომღერალზე, რომ... „ყელი ასტკივდა“ და აღარ იმღერა.

**რუს მუსიკოსთა** საზოგადოების წესდება დამტკიცებულ იქმნა, რომლის მიზანიც რუს მუსიკოსთა გაერთიანება და მათის ინტერესების დაცვაა.

**სახელმწიფო სათათბიროს** საბიუჯეტო კომისიამ სასურველად სცნო სახელმწიფო ხაზინიდან 10,000 მან. შემწეობა მიეცეს სათეატრო საზოგადოებას.

**ვან-ბრანდტი** ოდესის თეატრში ოპერა „ტაისში“ სრულიად ტიტლიკანა გამოვიდა. საზოგადოების ერთი ნაწილი ეგოდენად აღელდა, რომ დარბაზიდან წავიდა.

**დაიწვა** გუნგენბერგის საზაფხულო თეატრი.

**მთელი ოჯახი დასში**. ა. ა. ბრიანსკიმ მოხუც მანდილოსანთა როლების მოთამაშე მსახიობ ქალის ჰამალეის მოსაწვევად სათეატრო აგენტს მიმართა პირობათა შესატყობად. პასუხად მოუვიდა: „ჰამალეი, მისი ქმარი გერმანი—კომიკი, მისი ძმა—სცენარიუსი და შვილი—გამოსასვლელ როლების შემსრულებელი, ყველა ერთად 750 მან. თვეში“.

გულშემოყრილი ბრიანსკი ტელეგრამითვე შეეკითხა —„სხვა ნათესაობა აღარა ჰყავსო?!“

## უ ც ხ ო ე თ ი

**გაიფიცნენ** მილანის ყველა თეატრთა მსახიობნი რომაულ „არგენტინა-თეატრის“ დასიდან ერთი მსახიობის უსაბუთოდ დათხოვნის გამო.

**სასულიერო თეატრი** არსდება საფრანგეთში. როგორც იუწყებიან, ბუაშენში, სადაც ჟანდარკს მოესმა ზეციური მოწოდება, აშენებენ უზარმაზარ ღია თეატრსა ყოველ-წლივ „ვნებათა“ წარმოსადგენად. თეატრს გააღებენ 1911 წ. 7 მაისს „ჟანდარკის“ წარმოდგენით, რომელშიაც მონაწილეობს 600-მდე კაცი, ამათგან 150 ცხენოსანი. მთავარ როლებს შეასრულებენ პარიზელი მსახიობნი. ხოლო დანარჩენს—ადგილობრივი—დომრემის მცხოვრებნი. ფიქრობენ, ზაფხულში—ივნისსა, ივლისსა და აგვისტოს—თვეში ორი წარმოდგენა მაინც გამართონ.

**ავტორის უფლებას** დიდი აურ-ზაური მოჰყვა პარიზში. ეს-ეს არის ახლახან დასრულდა დრამატურგის ანრი ბატაილისა და სახელგანთქმულ მსახიობის სარა-ბერნარის საქმის განსამართლება. ბატაილი უჩიოდა 20,000 ფრანკსა ჩემ-მიერ გადაკეთებული „ფაუსტი“ უნდა დაედგა და ახლა უარი მითხრაო. სასამართლოში ბატაილიმ მოიგო საქმე. ვინაიდან სარა ბერნარი იმ ჟამად ლონდონში იყო, ბატაილიმ აუწერა თეატრი და სასახლის ავეჯეულობა. ბატაილის ასეთმა საქციელმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თეატრალურ წრეებში, საყვედურის თავიდან ასაცილებლად ბატაილმა განაცხადა—ამ მოგებულ ფულიდან ორ პრემიას ვნიშნავ—ერთს საუკეთესო ლექსთა კრებულისა, ხოლო მეორეს ახლად მწერლობის დამწყებ დრამატურგის პიესის დასაჯილდოვებლად, რომელთაც განსაკუთრებით ამორჩეულ პირთა მიმსჯელი საბჭო (ჟიური) იცნობს ღირსადაო.

**მოცილეს შურისძიება**. ცნობილ მსახიობ ქალს სიუზანა მენტს, ლიონში საგასტროლოდ ჩასულს, სამწუხარო ამბავი შეემთხვა. წარმოდგენის დაწყებამდე გამოირკვა, რომ სკივრებში ჩალაგებული მისი ძვირფასი სამკაულ-ტანისამოსი სულ ნაკუწ-ნაკუწად იყო ქცეული. ამის გამო საგასტროლო წარმოდგენები გადაიდო ახლად გამოწერილ სამკაულ-ტანისამოსის მიღებამდე. რკინის გზის გამგეობა და პოლიცია გაფაციცებით დაეძებს დამნაშავეთ, რომელთაც მსახიობს ამითი 30 ათასი ფრანკით აზარალეს. თვითონ სიუზანა მენტი დარწმუნებულია, ეს ზარალი შურისძიებით შემამთხვია სცენაზე მოცილემაო.

**ჯაშუშ-მაძებარნი და მსახიობნი**. ამას წინად ანვერპენის, „თანამედროვე თეატრში“ სასაცილო და მასთან სამწუხარო ამბავი მოხდა. ადგილობრივი დასი თამაშობდა დროის შესაფერ პიესას, რომელშიაც მართლმსაჯულების წარმომადგენელნი გამასხარავებულნი არიან. წარმოდგენის დროს, სწორედ იმ წუთს, როდესაც სცენაზე ქალ-მსახიობთ ტანისამოსს ხდიდენ თანახმად პიესის მოთხოვნილებისა, თეატრში გამოცხადდა ადგილობრივი ბრალმდებელი ოცის ჯაშუშ-მაძებარით და მოითხოვა წარმოდგენის შეჩერება. მისი განკარგულებით მსახიობ-ქალები, თითქმის ტიტლიკანები, რომელთაც ხორცის ფერი თხელი ტრიკო ეცვათ, პოლიციისკენ გაამგზავრეს. ამ არაჩვეულებრივ მგზავრობას ბრბო ქუჩაში სტვენით ეგებებოდა. მსახიობ ქალთ პასუხისგებაში აძლევენ. ერთ მათგანს,—პარიზელს,—განსამართლების შემდეგ, ბელგიის საზღვრებიდან გააძევებენო,—ასე მოგვითხრობს ერთი რუსული ჟურნალი.

---

**შ ი ნ ა ა რს ი**: მამათა ანდერძი და ჩვენი მოვალეობა **მეთაური**: ზოგიერთი ცნობანი ქართ. დრამ. საზ. შესახებ; ვიდექ ზღვის პირას—**დუტუ მეგრელისა**; თეატრი და ცხოვრება ერთის თვალის გადავლებით—**განდეგილისა**; მწუხრი—**ბაბილინასი**; მშვენიერება—**შალვა დადიანისა**; რეაქცია—**აკაკისა**; *** (ლექსი)—**გ. ტაბიძისა**; სიმართლე—**მ. მესხისა**; კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი—**მათესი**; პაწია შენიშვნა მოგზაურ დასებს—**ტეზეისა**; გ. ფირუმიანი: ბებურ ბებურიშვილი—**ნაცნობისა**; სათეატრო ამბები: დაბა-სოფლებიდან—**დ. ნ—სა.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

## ექ. ვ. დ. ღამბაშიძის

# სანატორიუმი

## პატარა ცემში

ბაკურიანის რკინის გზაზე, 4,400 ფ. სამაღლე

**გაიხსნება 15 ივნისს**

**ორის განყოფილებით, ერთი—საბავშვო, მეორე—დიდებისათვის.**

პირობების გასაგებად წერილით უნდა მიმართონ **ბორჯომით** პატარა ცემს ექიმს **ვახტანგ ღამბაშიძეს.** 10—2

---

**სახალხო გაზეთი** ყოველ-დღ. საპოლიტ. სალიტერატ.

ამოცემა, კვირეული სურათებიანი დამატებით წლიურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ. რედაქტ.-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა**

ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Сем. Пашалашвили.

**ჩვენი გაზეთი** ყოველდღ. საპოლიტიკ. სალიტერ.

გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. საზღვარ-გარედ 14 მან. ნახევარი წლით 7 მან. რედაქტ.-გამომც. **ზ. ტყეშელაშვილი**

ადრესი: Тифлисъ, тип., «Шрома», **Кал. Кон. Цуладзе.**

**НОВАЯ РѢЧЬ** Ежедн. общ.-полит. литературная газэта

На годъ 7 руб., 1/2 года 4 руб. помѣсячно 75 коп. Тифлисъ, Дворцовая ул. д. Груз. Двор. ред. «Новая рѣчь».

Ред. **Р. Д. Бебiевъ.** Из. **П. А. Готуа**

---

სათავად.-აზნ. საზაფხულო თეატრი

სამშაბათს, 29 ივნისს 1910 წ.

გაიმართება **კონცერტი**

**მონაწილეობენ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების სამუსიკო სასწავლებელთა მოსწავლე ქართველი ახალგაზდა მომღერალ-მემუსიკენი**

დასაწყისი საღ. 9 საათზე ადგილების ფასი 2 მ.—40 კ.

---

**სახალხო სახლი** 22 ივნისს, სამშაბათს გაიმართება **„გ. ფირუმიანის სალამო“** ადგილების ფასი ჩვეულებ. დასაწ. საღამ. 8½ საათ.

---

ქართული თეატრი და ბაღი

**კვირას, 20 ივნის 1910 წ.**

გაიმართება წარმოდგენა და დიდი

# სეირნობა

**წარმოდგენილი იქნება**

I

„ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს“

კომედია 2 მოქ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ბ. ნებიერიძე, ჰ. შოთაძე ბ. ბ. საფაროვი, ი. გრიშაშვილი და მეტრეველი.

II

**საკონცერტო განყოფილება**

**მონაწილეობენ: ა. ჩიმიშკიანი, ბ. ფრანცი, ა. დეკაბრილევიჩი, ვ. მატარაძე, ი. გრიშაშვილი, და გიტარ-მანდალინისტთა ხორო.**

**ბაღში: ბუფეტი, ყვავილები, ფოსტა, კომფეტი. ნიშანში სროლა და სხვა მრავალ გვარი გასართობი.**

ზურნა, საზანდარი და სამხედრო მუსიკა

**ევროპიული ცეკვა და ლეკური**

**პრიზი** სილამაზისა და ორიგინალურ შლიაპებისათვის

დასაწყისი ბავშვთა სეირნობისა 12—4 ს. მოზრდილითათვის 4 ს. ფასი ბავშვებისათვის 10 კ. მოწაფეთათვის 15 კ. მოზრდილთათვის 30 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში წარმოდგენაზე 1-მ-დან 40 კ.

**წარმოდგენა დაიწყება 8½ საათ.**

დიასახლისი გენერალშა **ვ. ნ. ბელოვისა**

მაღნეულის, ხილეულის და სამკურნალო წყლის

# ქ ა რ ხ ა ნ ა

## მ. ლაღიძის და ამხ-სა

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411.

# ჩვენი ქარხნის წყლები

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნით და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ «ვაკუუმით» მანქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

მუშტარი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი ქარხნის

# წ ყ ა ლ ი

**მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს გ ე მ ო ს ი და ს უ ნ ე ლ ე ბ ი ს ა ა,**

და თბილისის სამკურნალო განყოფილების ანალიზითაც

მ ი ს ი კ ა რ გ ი ღ ი რ ს ე ბ ა დ ა ჯ ი ლ დ ო ვ ე ბ უ ლ ი ა

ამიტომაც ჯანმრთელობის გულისათვის ეს ქარხანა ურჩევს ბბ. მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ რადგან ზოგიერთი ვაჭრები ჩვენის სახელით სხვა ქარხნების უფრო იაფს და მიმსგავსებულ წყალს ასაღებენ.

მოითხოვეთ ყველგან **მ. ლაღიძის** და ამხანაგობის **წყალი**

**დ ა ა მ ა ს თ ა ნ მ ი ა ქ ც ი ე თ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა**

## თავსაცობს ჩვენი ქარხნის ბეჭდით

ქარხანა ხილეული წყლით **წარჩინებულ თვისებისთვის** დაჯილდოვებულია ოქროს და ვერცხლის დიდი მენდლით

10—1

განყოფილება „პროგრესის“ სტამბისა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სახლში